

საია ფიტნესკლუბის საქმეში ჩაერთო

საია ბათუმში მდებარე ფიტნესკლუბის - Reformerfitness-ის საქმეში ჩაერთო, რომლის მიმართაც გუშინ გამოძიება დაიწყო. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 248^1 მუხლის საფუძველზე. საია მიიჩნევს, რომ აღნიშნული მუხლი, რომლის მიხედვითაც მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული აკრძალული ქმედების განმეორებით ჩადენის გამო შესაძლებელია პირს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, არაკონსტიტუციურია.

სისხლის სამართლის კოდექსის 248^1 მუხლის თანახმად, დანაშაულს წარმოადგენს Ḍ□□□□□□□□□□□□□□ ჯანმრთელობის შესახებ □ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა, თუ ეს ქმედება ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც ამავე წესების დარღვევისათვის ერთხელ უკვე იყო დაჯარიმებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42^{10}□ მუხლის საფუძველზე და სახდელდადებულია. თავის მხრივ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42^{10} მუხლი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს Ḍ□□□□□□□□□□□□□□ ჯანმრთელობის შესახებ □ საქართველოს კანონით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევისათვის.

ამდენად, იმისათვის, რომ პირს სისხლის სამართლის კოდექსის 248^1 მუხლის

საფუძველზე დაეკისროს პასუხისმგებლობა, მან ორჯერ უნდა დაარღვიოს Ď□□□□□□□□□□□□□ ჯანმრთელობის შესახებ □ საქართველოს კანონით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესი. ეს სამართლებრივი შემთხვევა პრობლემურია, რადგან როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია Ď□□□□□□□□□□ და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ □ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დაწესებული ნორმების დარღვევა.

საია მიიჩნევს, რომ მთავრობის დადგენილების საფუძველზე დაწესებული საკარანტინო ღონისძიებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რადგან პარლამენტმა მთავრობაზე დელეგირებული უფლებამოსილება გადასცა ~~კონსტიტუციის დარღვევით~~. საქართველოს კონსტიტუციის ცალსახამოთხოვნას წარმოადგენს, ის, რომ შრომის თავისუფლება და გადაადგილების თავისუფლება შეიზღუდოსპარლამენტის, და არა მთავრობის მიერ.

შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42^{10}□ მუხლისა და სისხლის სამართლის კოდექსის 248^{1} მუხლების დისპოზიცია ეფუძნება არაკონსტიტუციურად მიღებული ქცევის წესების დარღვევას. ხოლო რადგან არაკონსტიტუციურია Ď□□□□□□□□□ და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ □ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილება, ასევე არაკონსტიტუციურია აღნიშნული წესის დარღვევისთვის პირისთვის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

საია კიდევ ერთხელ მოუწოდებს საკონსტიტუციო სასამართლოს, **დროულად განიხილოს მისწარმოებაში არსებული საქმეები, რომელიც შრომის და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის მთავრობაზე დელეგირების კონსტიტუციურობას ეხება. აღნიშნული სარჩელების განხილვის დროში გაწელვა კიდევ უფრო დააზიანებს ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხს, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს კონსტიტუციური მართლმსაჯულების ეფექტიანობას და შეარყევს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას.**